ეკლესიისროლი დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესში საქართველოში

თინათინ მაგრაქველიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააანალიზოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლი საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესში, ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის დამოკიდებულება ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობასთან მიმართებაში.ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მას შემდეგ, რაც ქვეყანამ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ აიღო გეზი.

ნაშრომი წარმოადგენს თვისებრივი კვლევის კატეგორიას,რომელიც მოიცავს შემთხვევის ანალიზს,ჩარღმავებულ ინტერვიუს.

ანალიზის შედეგად ხდება იმ უმთავრესი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება,რაც ხელს უშლის დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესის სრულფასოვან განვითარებას. მათ შორის ეკლესიის დამოკიდებულება დემოკრატიის ძირითადი ღირებულებების მიმართ,საკითხისადმი პოლიტიკური ხელისუფლების ინდიფერენტულობა, დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესის ფრაგმენტულობა და არათანმიმდევრულობა, ეკლესიის ჩართულობა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

საბოლოო ჯამში ეკლესიის როლი დემოკარტიის კონსოლიდაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს,რადგან საზოგადოებაში არ ხდება დემოკრატიის უმთავრესი ღირებულებებისა და ნორმების სრულფასოვანი დამკვიდრება, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიის ეფექტურ კონსოლიდაციას.

საძიებო სიტყვები: დემოკრატია, მოდერნიზაცია, რელიგია, კონსოლიდირებული დემოკრატია, ღირებულებები, ეკლესია

Abstract

The goal of this research is to analyze the role of the Orthodox religion in the process of consolidation of democracy in Georgia, attitude of the Church, as a social institution, toward the liberal democracy building. This issue is especially important since the country took the path toward European and Euro-Atlantic integration.

The work represents a qualitative research category, which includes case studies, interviews.

After analyzing, we will identify the main problems and challenges that hinder the full development process of democratic consolidation, including the Church's attitude towards the core values of democracy, political authorities' indifference to the issue, the fragmentation of the democracy consolidation process and inconsistency, the church's involvement in state activities.

In the end the church's role in the process of consolidation of democracy represents a significant challenge, because there is no an fully-fledged import of main democratic values and norms in the society, which to some extentprevents the effective consolidation of democracy in the country.

Keywords: democracy, modernization, religion, consolidated democracy, values, church.

სარჩევი:

აბსტრაქტი

შესავალი 1

კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი საკვანძო დეფინიციების განმარტებები.....3

1.ძირითადი თეორიული დაშვებები.....5

1.1. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელები.....16

2.ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა (1991-2015).....19

2.1დამოუკიდებლობის პირველი წლები.....20

2.2 ვარდების რევოლუცია 24

2.3 ახალიხელისუფლების დამოკიდებულება და დღევანდელი ვითარება.....27

3.ძირითადი გამოწვევები კონსოლიდაციის პროცესში.....31

3.1 კანონის უზენაესობა.....32

3.2 სამოქალაქო საზოგადოება.....33

3.3 ორგანიზაციებისშექმნისადამათშიგაწევრიანებისთავისუფლება.....34

3.4 გამოხატვის თავისუფლება.....35

4.დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესი(რეკომენდაციები).....36

დასკვნა.....40

ბიბლიოგრაფია.....42